პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ქუთაისი _____ მარტი 2022 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების
გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის
საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის №388 განკარგულებით დამტკიცებული გარე რეკლამის განთავსების გეგმის ლოტი №47, (232-233), დანართის მე-8 და მე-9 პუნქტები და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით.

„8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 21 მაისის №003310221 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სარეკლამო ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის ღირებულება 20 (ოცი) წლის ვადით და 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით 1კვ. მეტრზე შეადგენს 2251 (ორიათასორასორმოცდათერთმეტი) ლარს“.

„9.განთავსების უფლების გადაცემის მოქმედების ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.“

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების
გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის
საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის №70 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმას (სარეკლამო საშუალების განთავსების ადგილის, გაბარიტული ზომებისა და ფორმის მითითებით) ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს მოძრავი ქონებები - ავტოსატრანსპორტი საშუალებები (60 (სამოცი) ერთეული), რომელიც თხოვების ფორმით, არსებობის ვადით სარგებლობაში გადაცემული აქვს შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს.ნ 412750713). ქალაქ ქუთაისის მერიას არა ერთმა დაინტერესებულმა პირმა მომართა, მოძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების უფლების მოპოვების მიზნით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N388 განკარგულებით, გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატა ლოტი №47 (232-233), დანართით განისაზღვრა მოძრავ ქონებაზე (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) გარე რეკლამის განთავსების გეგმა და პირობები. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2021წლის 21 მაისის №003310221 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სარეკლამო ფართის ყოველწლიური საიჯარო ქირა 1კვ. მეტრზე განისაზღვრა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, რაც მთლიან 1301 კვადრატულ მეტრზე შეადგენს 520 400 (ხუთას ოცდათას ოთხას) ლარს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით (ბ44.442124921; 06.09.21წ. ბ.44.44213052; 01.11.21წ.) გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის. ნებართვის მიღების საწყისი საფასური განისაზღვრა 5 204 000.00 (ხუთი მილიონ ორასოთხიათასი) ლარით, საგარანტიო თანხა 1 561 200.00 (ერთი მილიონ ხუთასსამოცდაერთი ათას ორასი ლარი). ბიჯი 100 000.00 (ასიათასი) ლარი. ვადა განისაზღვრა 10 (ათი) წლით. არცერთ შემთხვევაში აუქციონი არ შედგა.

ზემოხსენებული სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2021წლის 21 მაისის №003310221 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ავტობუსის ფასადზე 1 კვ.მ სარეკლამო ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის ღირებულება **20 წლის ვადით და 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით** საორიენტაციოდ 2251 (ორიათასორასორმოცდათერთმეტი) ლარია, რაც 1301 კვ. მეტრზე შეადგენს 2 928 551.00 (ორი მილიონ ცხრაასოცდარვაათას ხუთასორმოცდათერთმეტი) ლარს.

ცხადია, რომ წლების განმავლობაში მოძრავი ქონება განიცდის ფიზიკურ და მორალურ ცვეთას და ამორტიზაციას, რაც გათვალისწინებულია საექსპერტო დასკვნაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დანართის მე-8 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ავტობუსის ფასადზე 1 კვ.მ სარეკლამო ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის ღირებულება 20 წლის ვადით და 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით განისაზღვროს 2251 (ორიათასორასორმოცდათერთმეტი) ლარით. მოძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გადაცემით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხება 3 მლნ. ლარის ოდენობის თანხა, რაც ხელს შეუწყობს ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს განსახილველად წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი